

ჟან დე პონტევეს დე საბრანი

ჩანაწერი ჰუსარი მოგზაურობის შესახებ

გრაფი ჟან დე პონტევეს დე საბრანი, ფრანგი სამხედრო პირი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, საქართველოში 1889 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა, რათა თბილისიდან ირანში, შემდეგ კი იმიერ კასპიის პროვინციები მოეწვლო. 1891 წელს მან „ამაღლებული ხასიათისა და მორალური სარგებლობის მქონე“ წინამდებარე თხზულებისთვის მონტიონის¹ პრემია დაიმსახურა. მის თხზულებაში არის ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ.

Jean de Ponteveys de Sabran [Captain of the 1er Régiment de Hussards], Note de voyage d'un hussard — Un raid en Asie, Paris: Calmann Lévy, 1890, Au Comte de Ponteves-Sabran

(...) je passe aux particularités géorgiennes.

(...) ქართულ თავისებურებებზე გადავდივარ.

Hors du gynécée : pas de femmes! pas de femmes! est le mot d'ordre absolu des Géorgiens. Les maris se promènent, font la fête, dansent, s'embrassent, se chamaillent, s'enivrent, se battent, se tuent exclusivement entre eux. Pendant ce temps, les femmes opèrent entre elles à domicile, où le caquetage et le batifolage ne manquent ni de sel, ni de poivre, ni même de piment, assure-t-on. Malgré cet isolement officiel, la conjonction des centres se produit, au Caucase, ni plus ni moins que dans les autres parties de notre planète, et le diable caucasique, pour se mieux cacher, ne perd aucun de ses droits. Au lieu de coups de canif, ce sont des coups de kindjal qui pleuvent dans les contrats; voilà toute la différence (65).

გინეკეას² გარეთ: ქართველი კაცების უპირობო ლოზუნგია: არავითარი ქალები! არავითარი ქალები! ქმრები სეირნობენ, ქეიფობენ, ცეკვავენ, ერთმანეთს ეხვევიან, კამათობენ, სვამენ, ჩხუბობენ და მხოლოდ ერთმანეთს კლავენ. ამ დროს ქალები სახლში არიან, სადაც, როგორც გვარწმუნებენ, მათ ჭორაობასა და გართობას არც მარილი აკლია, არც პილპილი და არც წიწაკა. ამ ოფიციალური იზოლაციის მიუხედავად, მათი შეერთება კავკასიაში ისევე ხდება, როგორც ჩვენი პლანეტის სხვა მხარეებში და კავკასიური ეშმაკი, უკეთ დასამალად, თავის არც ერთ უფლებას არ კარგავს. ხოლო ჯიბის დანის ნაცვლად, კონტრაქტებს ხანჯლების დარტყმა აწვიმს; მთელი განსხვავება ეს არის.

Il est entendu que j'écris sous l'inspiration de gens bien renseignés.

გასაგებია, რომ კარგად ინფორმირებული ადამიანების კარნახით ვწერ.

Personnellement, je n'affirme rien. (65)

პირადად მე არაფერს ვამტკიცებ.

6 მაისი.

დღეს აღდგომაა და მთელი თბილისი მზადაა გრანდიოზული ცერემონიისთვის. უამრავი ქალი ბუმბულით, მაქმანებითა და უზადო ლენტებით მორთულ თეთრ სამოსშია

¹ ანტუან ჟან ბატისტ რობერტ ოჟერმა, ბარონმა დე მონტიონმა (1733-1820), ფრანგმა ქველმოქმედმა 1780-1787 წლებში დააწესა პრიზების სერია, რომლებმაც შეცვალა რევოლუციურ პერიოდში და აღადგინეს 1815 წელს.

² სახლის საქალეო ნაწილი საბერძნეთში.

გამოწყობილი, ასევე გოგონებიც. გეგონება, რომ ეს პირველი ზიარებაა. რაც შეეხებათ ქართველ ქალებს, მათ თავზე მდიდრულად მორთული ბასკური დოლები უკეთიათ.

Je ne vois partout que fonctionnaires en grand uniforme, militaires en tenue de parade, et gens du peuple endimanchés, portant le gâteau traditionnel ou l'agneau symbolique. Quelques moujiks sont déjà dans les vignes du Seigneur. Ils se sont levés matin, sans doute! A moins qu'ils ne se soient pas couchés.

ყველგან მხოლოდ საპარადო მუნდირებში გამოწყობილ საჯარო მოხელეები, სამხედრო პირები და საკვირაოდ ჩაცმული უბრალო ადამიანები არიან, რომლებსაც ტრადიციული ნამცხვარი ან სიმბოლური ბატკანი უჭირავთ. რამდენიმე *მუჟიკი* უკვე მთვრალია. ისინი უეჭველად დილაადრიან ადგნენ ან საერთოდ არ დაწოლილან!

Nombre de Géorgiens m'ont l'air également allumé. Allons, ce soir ça chauffera! Et les coups de kindjal pleuvront dru, encore autre part que sur les agneaux pascals! On ne m'avait pas menti.

ბევრი ქართველიც ნაბახუსევი ჩანს. ასე რომ, ამაღამ დაცხება! ხანჯლების დარტყმები, სააღდგომო ბატკნების გარდა, კოკისპირული წვიმასავით სადღაც კიდევ დასცხებს! არ შევმცდარვარ.

En attendant, seigneurs et vilains s'embrassent entre eux avec ostentation, se baisant sur la bouche trois fois, suivant l'usage, en s'exclamant :

ამასობაში, ბატონები და მდაბიო ხალხი ყველას დასანახად ჩვეულებისამებრ ერთმანეთს სამჯერ კოცნიან ტუჩებში შემახილებით:

Khristoss voss kress! (Le Christ est ressuscité!) A quoi l'interpellé répond: Il est vraiment ressuscité! *Voistinno voss kress!*

ქრისტე აღსდგა! რასაც პასუხობენ: ჭემმარიტად აღსდგა!

Ces pieux épanchements indéfiniment multipliés dans les rues, sur les places, en tramways même, me rapportent malgré moi aux tendresses non moins cérémonieuses des Téhéranîs, à l'occasion du jour de l'an.

ეს უსასრულო ღვთისმოსავი გულის გადაშლა ქუჩებში, სკვერებსა და ტრამვაიშიც კი უნებურად ნოვრუზზე თეირანელთა არანაკლებ ამაღელვებელ ზეიმს მაგონებს.

Loin de moi la pensée de blâmer cet usage gai, fraternel, patriarcal et plaisant en soi; mais combien se baisent ce matin à tour de lèvres, qui ce soir s'entre-tailleront le crâne de main de maître!

ამ მხიარული, ძმური, პატრიარქალური და თავისთავად სასიამოვნო ჩვეულების გაკიცხვისგან შორს ვარ, მაგრამ ამ დილით რამდენი ადამიანი კოცნის ერთმანეთს, რომელიც საღამოს ერთმანეთს ოსტატურად გაუხეთქავს თავის ქალას!

Ce dévergondage de voies de fait entre Caucasiens n'a (392) rien de surprenant, quand on pense que tout le monde est ici journellement armé comme on l'est, chez nous, un jour de mobilisation. Toutefois, il sera prudent de ne pas traîner inutilement cette nuit dans les quartiers indigènes.

კავკასიელებს შორის ამ უაზრო ჩხუბში არაფერია გასაკვირი (393), თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ყველა ყოველდღიურად ისეა შეიარაღებული, როგორც ჩვენთან მობილიზაციის დღეს. მაგრამ უფრო გონივრული იქნება, თუ ამ საღამოს ადგილობრივი მოსახლეობის უბნებში ზედმეტად არ ვიხეტიალებთ.

Comme pièce à l'appui, voici qu'au moment même où j'écris ces réflexions, on nous rapporte tout sanglant le valet de chambre géorgien de M. Eychenne. Il est à demi scalpé. Or il n'est que dix heures du matin.

ზუსტად იმ დროს, როდესაც ამ მოსაზრებებს ვწერ, ამის დასტურად გვატყობინებენ, რომ ბატონი ეიშენის ქართველი კამერდინერი სრულიად დასისხლიანებულია. ის ნახევრად სკალპირებულია, თუმცა ჯერ მხოლოდ დილის ათი საათია.

Après un excellent déjeuner chez M. Richard, qui a eu la bonne pensée de réunir, autour d'un somptueux gâteau pascal, les principaux Français de Tiflis, je me rends à la réception solennelle de Son Excellence le général prince Dondoukow-Korsakow, gouverneur du Caucase.

შესანიშნავი ლანჩის შემდეგ ბატონ რიშართან, რომელსაც საუცხოო საადგომო ნამცხვრის გარშემო თბილისის თვალსაჩინო ფრანგების შეკრების შესანიშნავი იდეა მოუვიდა, კავკასიის გუბერნატორის, მისი აღმატებულება გენერალ თავად დონდუკოვ-კორსაკოვის საზეიმო მიღებაზე წავედი.

Splendide, cette réception, où tous les personnages européens et indigènes du Caucase se pressent, chamarrés de croix et de dorures, dans un cadre presque aussi éblouissant qu'eux-mêmes ! (393).

ამ ბრწყინვალე მიღებაზე, რომელზეც ჯვრებითა და ვარაყით შემკული კავკასიაში მყოფი ყველა ევროპელი და ადგილობრივი წარჩინებული მიიჩქარის, თითქმის ისეთივე თვალის დამაბრმავებელი გარემოა, როგორც თვითონ არიან!

თარგმნა ირინე ნაჭყებია